სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

10 / ივნისი / 2024 წ.

KA080134072238524

№ **1630**

განკარგულება

შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

ტენდერის ნომერი: NAT210013707;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ (ს/ნ: 404878405);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 26 აპრილს წარმოდგენილ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 25 აპრილის №MRDI-RDN2-15/5867 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №3769), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“-ის (ს/ნ: 404878405) მიერ NAT210013707 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 14 სექტემბრის № 79-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის givigvaramia@yahoo.com მეშვეობით, 2024 წლის 30 აპრილის № 1342 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 14 მაისს წარმოადგინა 2024 წლის 13 მაისის განმარტება (რეგისტრაციის №4043) NAT210013707 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 14 სექტემბრის №79-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2021 წლის 14 სექტემბრის № 79-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, იგი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციას ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, მისი მითითებით, მან შემსყიდველ ორგანიზაციას წერილობით სთხოვა სახელშეკრულებო ვადის გაგრძელება და აცნობა, რომ მათ შორის გაფორმებული სხვა – № ე.ტ. 28-22 ხელშეკრულების შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არამართლზომიერი შეწყვეტა უარყოფითად აისახებოდა №79-21 ხელშეკრულების შესრულებაზე (ვინაიდან საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული № 79-21 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელი თანხებით ახდენდა სხვა კონტრაქტის ფარგლებში არსებული დავალიანების გადაფარვას). მიმწოდებლის განმარტებით, მას ასევე მიმართული ჰქონდა სარჩელით სასამართლოსთვის № ე.ტ.28-22 ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედების არამართლზომიერად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 14 სექტემბერს, NAT210013707 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“-ს (ს/ნ: 404878405) შორის დაიდო № 79-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს წერილობითი დავალების გაცემიდან არაუმეტეს 16 თვის ვადაში უნდა შეესრულებინა საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-6) ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის კმ75+050-კმ84+150 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ლოტი II. კმ83+145-კმ84+150, მდინარე ხევისწყალზე სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები (მისასვლელი გზებით). ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 5 469 885 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 14 აპრილი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებებით, დაკორექტირდა შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვა, ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 4 970 379,71 ლარი, ხელშეკრულების შესრულების ვადად – 2023 წლის 31 დეკემბერი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 31 მარტი.

4.3. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 20 სექტემბრის № 2-04/15553 წერილით მიეცა სამუშაოების 2021 წლის 22 სექტემბრიდან წარმოების დავალება.

4.4. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 19 ივნისის № 2-04/9857 წერილით მიეცა გაფრთხილება ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებასა და სამუშაოების დროულად წარმოებასთან დაკავშირებით.

4.5. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 23 თებერვლის № MRDI-RDN 204/2373 წერილით დგინდება, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, ხოლო მიმწოდებელს ობიექტზე მობილიზებული არ ჰყავდა სამუშაოს განსახორციელებლად საჭირო პერსონალი და ტექნიკა. ამავე წერილით მიმწოდებელს ეთხოვა 2024 წლის 1 მარტამდე მიეღო შესაბამისი ზომები ობიექტზე არსებული ვითარების გამოსწორების მიზნით.

4.6. საქმეში არსებული საზედამხედველო ორგანიზაცია „Egis International“-ის 2024 წლის 4 მარტის წერილით ირკვევა, რომ მიმწოდებელს, მიუხედავად გაფრთხილებისა, არ განუახლებია სამუშაოები.

4.7. საქმეში არსებული მიმწოდებლის 2024 წლის 29 მარტის № 01/1571 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს № 79-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა დაეკავებინა სხვა ხელშეკრულების ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხიდან. ამასთან, მიმწოდებლის მიერ გასაჩივრებულ იქნა მეორე, უკვე შეწყვეტილი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი (მიმწოდებლის წერილის თანახმად, აღნიშნული ხელშეკრულება შეწყდა შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 4 მარტის წერილით) და კომპანიამ ითხოვა № 79-21 ხელშეკრულების მოქმედების ვადის 6 თვით გაზრდა, რათა მიმწოდებელს, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებლობა ჰქონოდა, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წარედგინა შესრულებები, დასრულებული კონტრაქტებიდან აეთვისებინა საგარანტიო თანხები და შესაძლებლობა მისცემოდა, ობიექტზე მუშა-პერსონალის, ასევე შესაბამისი ტექნიკის მობილიზებით სწრაფი ტემპებით განეახლებინა სამუშაოები და დაესრულებინა პროექტი.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 25 აპრილის № MRDI-RDN2-15/5821 წერილით ირკვევა, რომ მიმწოდებელს 2023 წლის თებერვლის, მარტის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის და დეკემბრის თვეებში საერთოდ არ უწარმოებია სამუშაოები და შემსყიდველი ორგანიზაციისთვის არ წარუდგენია ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იმავე წერილის თანახმად, როგორც დეპარტამენტის, ისე საზედამხედველო ორგანიზაციის მხრიდან არაერთი გაფრთხილებისა და სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკის, პერსონალისა და სამშენებლო მასალების მობილიზაციის სისტემატიური მოთხოვნის მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერცერთ ჯერზე ვერ მოახერხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.9. საქმეში არსებული მხარეთა შორის გაფორმებული სამუშაოების მიღების აქტებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 519 927.57 ლარის სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არაერთგზის ეთხოვა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუმცა უშედეგოდ. გარდა ამისა, თავად მიმწოდებლის მითითებით, მხარეთა შორის გაფორმებული მეორე ხელშეკრულება შეწყდა 2024 წლის 4 მარტის წერილით, ხოლო, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, №79-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელი არც 2024 წლის მარტამდე ასრულებდა ჯეროვნად ნაკისრ ვალდებულებებს. რაც შეეხება ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხების სადაოდ ქცევას, სააგენტო მიუთითებს, რომ აღნიშნული განეკუთვნება მხარეთა შორის სახელშეკრულებო დავის საგანს და უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკებით ან სასამართლოსთვის მიმართვის გზით. სააგენტო ასევე უთითებს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამგვარად, ზემოაღნიშნული ფაქტებისა და მსჯელობის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ (ს/ნ: 404878405) 2024 წლის 12 აპრილს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT210025911 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 28

თებერვლის № 28-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტის გათვალისწინებით, შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ (ს/ნ: 404878405) 2024 წლის 11 ივნისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე